



**სულხან-საბა ორბელიანის**  
უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია:*

*რექტორის #77-14 ბრძანებით; 08.10.2014*

*განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:*

*რექტორის #38-21 ბრძანებით; 06.04.2021*

## სტუდენტთა ქცევის კოდექსი

თბილისი

2021

1. **უნივერსიტეტში სტუდენტთა ქცევის კოდექსის მოქმედების ფარგლები წინამდებარე**
  - 1.1. კოდექსი ადგენს ქცევის წესებს, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) სტუდენტებმა მუდმივად უნდა იხელმძღვანელონ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.
  - 1.2. წინამდებარე კოდექსი, ასევე ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სწავლობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა მოკლევადიან გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.
2. **ქცევის კოდექსის ძირითადი პრინციპები**
  - 2.1. უნივერსიტეტი, საკუთარი მისიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული შიდასაუნივერსიტეტო გარემოს შექმნას.
  - 2.2. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ეთიკური სტანდარტებითა და პრინციპებით მისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში.
  - 2.3. უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:
    - 2.3.1. სამართლიანობა;
    - 2.3.2. ჰუმანურობა;
    - 2.3.3. ტოლერანტობა;
    - 2.3.4. თავისუფლება და პასუხისმგებლობა;
    - 2.3.5. კეთილსინდისიერება;
    - 2.3.6. აკადემიური თავისუფლება.
  - 2.4. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს სხვების ადამიანურ ღირსებას და თავს იკავებდეს სხვისთვის ზიანის მომტანი საქციელისგან, ყველა სტუდენტი უნდა გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის სახელსა და რეპუტაციას.
  - 2.5. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს და აღიაროს თითოეული სტუდენტის უფლება მიიღოს განათლება იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინებისაგან თავისუფალ გარემოში.
  - 2.6. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებით, სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებით მინიჭებული უფლებებით.
  - 2.7. სტუდენტი იზიარებს უნივერსიტეტის ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს.
  - 2.8. სტუდენტი აღიარებს უნივერსიტეტის უფლებას, ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტმა განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.
3. **სტუდენტთა ქცევის კოდექსი**
  - 3.1. წინამდებარე ქცევის კოდექსი ადგენს ქცევის ზოგად და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესებს.
  - 3.2. სტუდენტის ქცევის ზოგადი წესების დარღვევად ჩაითვლება:
    - ა) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების მოწყობა და/ან ასეთ თამაშებში მონაწილეობა (მათ შორის ინტერნეტ სივრცეში);

ბ) უნივერსიტეტის ქონების, მათ შორის სასწავლო ინვენტარის სათანადო უფლების გარეშე, არადანიშნულებისამებრ გამოყენება და/ან დაზიანება (მათ შორის: მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დამტვრევა/დაზიანება);

გ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობა-ნაგებობების იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

დ) უნივერსიტეტში მოქმედი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის საამისოდ უფლებამოსილი პერსონალის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;

ე) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გინება, უცენზურო სიტყვების წარმოთქმა;

ვ) განგაშის შესახებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის და/ან უნივერსიტეტის პერსონალისთვის (მაგ: ხანძარი, ნაღმი, აფეთქება და სხვა), ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ინვენტარის არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

ზ) ნებართვის გარეშე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესვლა, უცხო პირის შემოყვანა შესაბამისი ნებართვის გარეშე;

თ) უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწვევა/თამბაქოს ნაწარმის მოხმარება;

ი) უნივერსიტეტში ალკოჰოლური სასმელების/ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური/ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნა;

კ) იარაღის (ცეცხლსასროლი, ცივი), ფეთქებადსაშიში, ადვილადააღებადი ნივთიერებების უნივერსიტეტში შემოტანა/გავრცელება;

ლ) უნივერსიტეტის ქონების ქურდობა;

მ) უნივერსიტეტის შიდაკომპიუტერულ ქსელში, კომპიუტერულ ტექნიკაში, ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე შეღწევა დაცული ინფორმაციის მოპოვების, შეცვლის მიზნით. ასეთი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება. შიდასაუნივერსიტეტო ქსელში ვირუსის გაშვებით ან სხვა უკანონო ხერხით პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა ბაზის, ვებ-გვერდის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის დაზიანება;

ნ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა, ძალის გამოყენების მუქარა, შეურაცხყოფა სტუდენტების და/ან უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ, ცილისწამება;

ო) აკადემიური წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ ამ კოდექსის 3.2 და 3.5 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ქცევის ჩადენა, თუ ეს არ არის დაკავშირებული სტატუსის შეწყვეტასთან;

პ) უნივერსიტეტის, უნივერსიტეტის პერსონალის ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელება;

3.3. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია, არ დაიგვიანოს ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე.

3.4. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს სტუდენტური ბარათი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

3.5. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ქცევის წესების დარღვევად ჩაითვლება:

ა) აკადემიური სიყალბე;

- ა.ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
- ა.ბ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა;
- ა.გ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე);
- ა.დ) საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის/თეზისის ან სხვა სახის წერილობითი ნამუშევრის ყიდვა/გაყიდვა;
- ა.ე) სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული ინფორმაციის, მონაცემების, ფაქტების გაყალბება;
- ა.ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;
- ბ) სხვა სტუდენტისათვის სწავლების პროცესში ხელის შეშლა, საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
- გ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
- დ) გამოცდაზე ქცევის წესის დარღვევა;
- ე) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (მათ შორის: ლექციაზე საუბარი, ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური, ნებართვის გარეშე ლექციაზე დაგვიანებით შესვლა ან აუდიტორიის დატოვება, კარის გაჯახუნება და სხვა);
- ვ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
- ზ) საგამოცდო საკითხების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის, სათანადო ნებართვის გარეშე მოპოვება, გამოყენება და/ან გავრცელება;
- თ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
- ი) საუნივერსიტეტო დოკუმენტების/ჩანაწერების, მონაცემების გადაკეთება და/ან შეცვლა;
- კ) შეფასების მიღების მცდელობა უნივერსიტეტის პერსონალზე მუქარით, ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, თაღლითობით თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

#### **4. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირი**

- 4.1. ამ კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს.
- 4.2. სტუდენტთა ქცევის კოდექსის დარღვევა აყენებს სტუდენტს დისციპლინური ზომების გამოყენების საფრთხის წინაშე.
- 4.3. ამ კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის პერსონალი უფლებამოსილია დააყენოს დამრღვევი სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნივერსიტეტის დისციპლინური კომისიის წინაშე.
- 4.4. უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია უფლებამოსილია, განახორციელოს სხვადასხვა სანქციები უნივერსიტეტში მოქმედი წესების დამრღვევი სტუდენტის მიმართ.

## 5. დისციპლინური დევნა

- 5.1. ამ კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტების შესწავლა, დამრღვევის მიმართ კოდექსით განსაზღვრული სანქციების გამოყენება ხდება უნივერსიტეტში დისციპლინური დევნის გზით.
- 5.2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებში და წესით, სამართლიანი პროცედურის გზით.
- 5.3. დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
- 5.4. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის დისციპლინურ საკითხთა კომისია (შემდეგში „კომისია“).
- 5.5. კომისიის წევრები არიან:
  - ა) უნივერსიტეტის პრორექტორი;
  - ბ) უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი(ებ)ი (იმ ფაკულტეტის დეკანი, რომლის პროგრამაზეც სწავლობს სტუდენტი);
  - გ) უნივერსიტეტის კანცლერი;
  - დ) სტუდენტური თვითმართველობის მიერ არჩეული წევრი (თუ ასეთი წევრი არ არის არჩეული, კომისია შეარჩევს დამამთავრებელი კურსების მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტს);
  - ე) ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
  - დ) უნივერსიტეტის იურისტი.
- 5.6. კომისიის სხდომაზე, ხმის უფლებით ასევე შეიძლება მოწვეულ იქნეს იმ ფაკულტეტის პროფესორი, რომლის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს სტუდენტი.
- 5.7. კომისია გადაწყვეტილება უნარიანია თუკი სხდომას ესწრება კომისიის წევრთა 1/2 მაინც.
- 5.8. კომისია, ყოველი სასწავლო წლის პირველ სხდომაზე, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს.
- 5.9. კომისიის წევრობის წინაპირობას წარმოადგენს შესაბამის აკადემიურ/ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნა.
- 5.10. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავის საქმის განხილვას.
- 5.11. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
  - ა) მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
  - ბ) დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
  - გ) მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

5.12. დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს უნივერსიტეტს, დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს სათანადო წესით მოპოვებულ და შესწავლილ მტკიცებულებას.

5.13. კომისია, მოპოვებული მასალების შესწავლის, სტუდენტის არგუმენტების მოსმენის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიმართ დისციპლინური სანქციის შეფარდების ან სანქციის შეფარდებაზე უარის თქმის შესახებ.

5.14. გადაწყვეტილებას კომისია იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

5.15. კომისიის სხდომის მიმდინარეობას ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრები სხდომაში მონაწილეობას ადასტურებენ სხდომაზე დასწრების ფურცლის შევსებით.

5.16. კომისიის თავმჯდომარე, გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, კომისიის გადაწყვეტილებას სტუდენტის მიმართ სანქციის გამოყენების შესახებ, მოკვლეულ მასალებსა და შუამდგომლობასთან ერთად აღსასრულებლად უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს.

5.17. უნივერსიტეტის რექტორი უზრუნველყოფს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას.

5.18. დისციპლინური წარმოების მასალები, ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოებისა და გამოყენებული სანქციების შესახებ კონფიდენციალურია. აღნიშნული ინფორმაცია ინახება ცალკე საქმედ.

## 6. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სანქციები)

6.1. ამ კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სანქციები:

ა) წერილობითი ან ზეპირი გაფრთხილება;

ბ) წერილობითი საყვედური;

გ) ფულადი ჯარიმა არაუმეტეს 500 ლარისა;

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

6.2. სტუდენტის მიმართ, ერთდროულად არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი ან მეტი სანქცია.

6.3. ქვევის კოდექსის მე-2 პუნქტის 3.2 „ი“-„პ“ და 3.5 პუნქტის „ვ“-„კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებს უნივერსიტეტი განიხილავს ქვევის კოდექსის მძიმე დარღვევად და მათი ჩადენის შემთხვევაში სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.